


ქალაქები და რეგიონები: პაქტი ბავშთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესაწყვეტად

არსებული მონაცემებით, ევროპაში ხუთიდან ერთი ბავშვი ხდება სექსუალური ძალადობის რომელიმე ფორმის მსხვერპლი და ეს ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველაზე ამაზრზენი ფორმაა. სექსუალური ძალადობის მრავალი ფორმა არსებობს, მათ შორის, ინცესტი, პორნოგრაფია, პრესტიჟიცია, ტრეფიკინგი ადამიანთა ცხოვრებაში, ბავშვთა გარყვნა, ცდუნება ინტერნეტის მეშვეობით, სექსუალური ექსპლუატაცია და სექსუალური ძალადობა. ევროპის საბჭომ, გაითვალისწინა რა პრობლემის მასშტაბურობა, წამოიწყო კამპანია „ერთი ხუთიდან“, რომლის მიზანია ცნობიერების ამაღლება ყველასათვის - ბავშვების, მშობლების და მათი, ვისაც კონტაქტი აქვთ ბავშვებთან. გარდა ამისა, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის ევროპის საბჭოს კონვენციის - ლანზაროტის კონვენციის სახელით ცნობილი კონვენციის - რატიფიკაციისა და განხორციელების ხელშეწყობა ევროპის საბჭოს 47 წევრ სახელმწიფოში და მათ საზღვრებს მიღმა.

ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებს აკისრიათ საკვანძო პასუხისმგებლობა, ეროვნულ მთავრობებთან ერთად დაიცვან მოქალაქეთა უფლებები, მათ შორის, გაუფრთხილდნენ და დაიცვან ბავშვებისა და ახალგაზრდების უსაფრთხოება და კეთილდღეობა თავიანთ არეალში. სექსუალური ძალადობისა და შეურაცხყოფის მსხვერპლთა დახმარება ხდება, ძირითადად, ადგილობრივ დონეზე. ეს ის დონეა, რომელზეც ყველაზე ქმედითაა პრევენციული და ცნობიერების ამაღლების კამპანიები. ამდენად, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოები დგანან ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის წინა ხაზზე. ამიტომ მათ უნდა განავითარონ და განახორციელონ სამოქმედო გეგმები და სტრატეგიები, რათა გაუმკლავდნენ ძალადობის შემთხვევებს და მოახდინონ მათი პრევენცია მომავალში.

ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების კონგრესმა შეიმუშავა პაქტი ქალაქებისა და რეგიონებისთვის ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესაწყვეტად, რათა უხელმძღვანელონ ხელისუფლების ორგანოებს სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. პაქტი ითვალისწინებს რიგ პრაქტიკულ ინიციატივებსა და პოლიტიკას, რომლებიც უნდა განხორციელდეს რეგიონულ დონეზე, რათა ჩამოყალიბდეს ბავშვებზე მორგებული სამსახურები, ასევე დაიცვას ბავშვები და დაიცვას ისინი სექსუალური ძალადობისაგან საზოგადოებაში.

ევროპის საბჭო არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც დაარდა 1949 წელს და მუშაობს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა ხელშეწყობად კონტიტენტის მასშტაბით. იგი აგრეთვე უპასუხებს სოციალურ, კულტურულ და სამართლებრივ გამოწვევებს 47 წევრ სახელმწიფოში. ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების კონგრესი წარმოადგენს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებს და ხელს უწყობს დემოკრატიის განვითარებას საძირკველშივე. იგი ორი პალატისაგან შედგება: ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების პალატა და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების პალატა. კონგრესი აერთიანებს 318 უფლებამოსილ და 318 შემცველ წევრს, რომლებიც წარმოადგენენ 200 000-ზე მეტ ხმას ევროპული საზოგადოებიდან.



one in five
un sur cinq

PREMS 01/4415
GEO

ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების კონგრესის მონაწილეობა ევროპის საბჭოს კამპანიაში „ერთი ხუთიდან“

კამპანიის
სახელმძღვანელო



CONGRESS OF LOCAL AND REGIONAL AUTHORITIES OF THE COUNCIL OF EUROPE
Avenue de l'Europe – F 67075 Strasbourg Cedex / Tel.: +33 (0)3 88 41 21 10 / Fax: +33 (0)3 88 41 37 47
www.coe.int/congress-pact – congress.oneinfive@coe.int